

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2021/42

თბილისი,

25 იანვარი, 2021 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“, წარმოდგენილი მისი ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ყუფარაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი“, წარმოდგენილი მინდობილი პირის - გაყიდვების დეპარტამენტის, სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ჟორა რუხაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორ მხარეები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს ამავე კანონის მე-10¹ მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 21 იანვრის N131 განკარგულების (SMP21000067) საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1 ხელშეკრულების საგანია - სხვადასხვა სახის ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.
- 1.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV50110000**.
- 1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **9' 700.00 (ცხრა ათას შვიდასი ლარი და 00 თეთრი) ლარს**.
- 1.4 ხელშეკრულების პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს **213'416.90 (ორას ცამეტი ათას ოთხას თექვსმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარს**.
- 1.5 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები პოზიციების მიხედვით მოცემულია დანართი N5-ში (პრეისკურანტი), რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
- 1.6 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.
- 1.7 ხელშეკრულების ღირებულების თანხა აღებულია შესაძლო გასაწევი მომსახურების ღირებულებების მიხედვით, ხოლო ანაზღაურება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამოუმუშავებელი თანხა დარჩება „შემსყიდველთან“ და იგი არ წარმოშობს მხარეებს შორის რაიმე დამატებით ვალდებულებებს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.
- 2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
 - 2.2.1 გასაწევი მომსახურების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
 - 2.2.2 შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.
 - 2.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან დეფექტური და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
- 2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს - სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ეკონომიკური სამსახურის, ლოჯისტიკის განყოფილენოს ტექნიკური მენეჯერი - მიმიკო მჟავანაძე ან/და ამავე განყოფილების თანამშრომელი.

3. მომსახურების მიწოდების პირობები

- 3.1 მიმწოდებელი ვალდებულია, **2021 წლის 25 იანვრიდან - 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით**, ოპერატიულად, უზრუნველყოს დანართი N2-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება სერვისცენტრში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ევაკუატორის დაქირავება და ავტომანქანის გადაყვანა სერვისცენტრში შესაკეთებლად ან საკუთარი მობილური ჯგუფის მეშვეობით ადგილზე ან სერვისცენტრში გადაყვანის შემდგომ მოახდინოს ავტომანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა, დანართი N4-ში მითითებულ მისამართზე, ამავე დანართში მოყვანილი ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპერატიული შეკეთება გულისხმობს, ყველა სახის სამუშაოებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს, პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას, უწყსრიგობების აღმოფხვრას, სათადარიგო ნაწილების მოხსნა-დაყენებას, შეკეთებას ან/და გამოცვლას, საცხებ-საპოხი მასალების გამოცვლას, სათუნუქე და სამღებრო სამუშაოებს, ელექტროგაყვანილობების რემონტს და სხვა ძირითად კვანძებსა და სამუშაოებს რომლებიც მთლიანობაში ასახულია დანართ N5-ში (პრეისკურანტი).

- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე მიაწოდოს პრიორიტეტული უფლება სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რაც გულისხმობს მათ რიგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურებას.
- 3.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ უფლებამოსილ პირთან ერთად ავტოსატრანსპორტის სერვის ცენტრში შეყვანიდან მაქსიმუმ 1 (ერთ) საათის განმავლობაში შეადგინოს დეფექტური აქტი, რომლის ელექტრონული ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გაუზიარდეს შემსყიდველის მიერ გამოყოფილ კოორდინატორს ელ. ფოსტის მისამართზე, შემდგომი შეთანხმებისთვის და შემსყიდველის თანხმობის (შესაძლებელია შემსყიდველის მიერ განხორციელდეს დეფექტურ აქტში მითითებული მომსახურების ან საქონლის რაოდენობის კორექტირება) შემთხვევაში მისი ხელმოწერის (ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ დეფექტურ აქტში აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს თარიღი და დრო) შემდეგ მიმწოდებელმა დაიწყო მომსახურების განხორციელება, ხოლო თუ მიმწოდებელი არ მოაწერს დეფექტურ აქტს ხელს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად გაწვევოს ხელშეკრულება. დეფექტურ აქტში მითითებულ უნდა იქნას დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ფირმა, მოდელი, გამოშვების წელი, საიდენტიფიკაციო ნომერი და გარბენი (კილომეტრაჟი), აღმოჩენილი ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო გასაწვევი მომსახურებების ჩამონათვალი (საჭიროების შემთხვევაში შესაცვლელი სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით), მომსახურების გაწვევის ვადები და აღნიშნულ ვადებში, პრეისკურანტში (დანართი N5) მითითებული ღირებულებების შესაბამისად განახორციელოს აღდგენითი და პროფილაქტიკური სამუშაოები (მომსახურება), ხოლო თუ, რომელიმე მომსახურების შესრულებას მიმწოდებელი ვერ განახორციელებს საკუთარ სერვისცენტრში, იგი ვალდებულია მიმწოდებლის ავტომანქანა საკუთარი ხარჯებით გადაიყვანოს იმ სერვისცენტრში, რომელშიც შესაძლებელი იქნება აღნიშნული მომსახურების განხორციელება.
- 3.4 ამასთან შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან ან დეფექტური აქტის დამტკიცებიდან მომსახურების ვადა თითოეულ შემთხვევაზე არ უნდა აღემატებოდეს საავალი ნაწილებისათვის - **1 (ერთი) დღეს;** ელექტრობისათვის - **1 (ერთი) დღეს;** აგრეგატებისათვის - **2 (ორი) დღეს.** იმ შემთხვევაში თუ საჭიროა ძრავის კაპიტალური რემონტის ჩატარება შესაძლებელია მომსახურების ვადა განისაზღვროს შემსყიდველთან შეთანხმებით, მაგრამ არაუმეტეს **10 (ათი) სამუშაო დღე**, ხოლო თუ ავტოტექნომომსახურება ეხება დეფიციტური სათადარიგო ნაწილით უზრუნველყოფას, მომსახურების გაწვევის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს **15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით.** ამასთან, თუ რომელიმე სათადარიგო ნაწილის რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ერთი ორგანიზაცია მაინც, ასეთი სათადარიგო ნაწილი არ ჩაითვლება დეფიციტურ ნაწილად.
- 3.1. თუ გასაწვევი მომსახურება არ არის გათვალისწინებული პრეისკურანტში მაშინ მხარეები აღნიშნულ გასაწვევ მომსახურებას ან/და შესაცვლელ სათადარიგო ნაწილს, ღირებულებების გათვალისწინებით (ფასი დადგინდება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე მიმდინარე დროისთვის ბაზარზე არსებული ღირებულებების შესაბამისად) უთითებენ დეფექტურ და მიღება-ჩაბარების აქტებში, ხელშეკრულებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შემდგომ სახელშეკრულებო ღირებულების შეუცვლელად. პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.
- 3.2. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
- 3.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
- 4.2. გაწეულ მომსახურებაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა (საჭიროების შემთხვევაში სათადარიგო ნაწილ(ებ)ის გათვალისწინებით), რაოდენობა ან/და მოცულობა, ფასი და საერთო ღირებულება (მომსახურებების ფასები გათვალისწინებული იქნება პრეისკურანტში (დანართი N5) მოცემული ფასების შესაბამისად, ხოლო პრეისკურანტით გაუთვალისწინებელი მომსახურების ან/და შესაცვლელი სათადარიგო ნაწილის შემთხვევაში ფასი დადგინდება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე მიმდინარე დროისთვის ბაზარზე არსებული ღირებულებების შესაბამისად).
- 4.3. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.
- 4.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტისთვის მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი.

4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ან/და ამავე განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

5. ანგარიშსწორება

- 5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
- 5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებების მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 5.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
- 5.4. წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.
- 5.5. 5.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 4.5 პუნქტში მითითებული პირი.

6. მხარეთა ვალდებულებები

- 6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
 - 6.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;
 - 6.1.2. „შემსყიდველს“ საკუთარი სახსრებით გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
 - 6.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
 - 6.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
 - 6.1.5. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
- 6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
 - 6.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აღუზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
 - 6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
 - 6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. გარანტია

- 7.1. გაწეული მომსახურებისა და შეკეთებული ან/და გამოცვლილი დეტალების საგარანტიო პერიოდი და პირობები განსაზღვრულია დანართი N3-ით და შეადგენს:
 - 7.1.1 გაწეულ მომსახურებას და გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე არანაკლებ **6 (ექვსი) თვეს**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციითა და გარეგანი ზემოქმედების შედეგად და საცხებ-საპოხი მასალებზე: ძრავის ზეთებზე - **არანაკლებ 8 000 კმ**, ავტომატური და მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთებზე - **არანაკლებ 30 000 კმ**.
 - 7.1.2 გაწეულ მომსახურებაზე საგარანტიო ვადის ათვლა იწყება მომსახურების დასრულების დღიდან და მოქმედებს დანართი N3-ში მითითებული პერიოდისა და პირობების შესაბამისად.
 - 7.1.3 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ ტექნიკური მომსახურება განხორციელდება მაღალხარისხოვნად, აღნიშნულ მომსახურებაზე არსებული სტანდარტების სრული დაცვითა და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ასევე ყველა გამოცვლილი დეტალი იქნება ახალი (გამონაკლისის შემთხვევაში, შემსყიდველთან შეთანხმების დასაშვებია მეორადი), ხარისხიანი და ქარხნული წარმოების, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს, როგორც მომსახურების მიმდინარეობის პერიოდში ასევე საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული მომსახურების პროცესში და საგარანტიო პერიოდში არახარისხოვნად გაწეული მომსახურების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.
 - 7.1.4 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების წარმოების პერიოდში, აგრეთვე საგარანტიო ვადაში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე ან/და მესამე პირზე მიყენებული ზიანის რისკი ეკისრება მიმწოდებელს.
 - 7.1.5 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებლის მხრიდან 7.1.1 და 7.1.3 პუნქტებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.
- 7.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
 - 7.2.1. აწარმოოს მომსახურების ხარისხის კონტროლი;
 - 7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი

- 8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული არემოვების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
- 8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
- 8.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

- 9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით თვალისწინებულ შემთხვევებში.
- 9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 3.1, 3.2, 3.3 და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით;
- 12.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 7.1.1 და 7.1.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით;
- 12.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0.1%-ის ოდენობით;

12.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 12.1. და 12.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 14.1. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზეც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.
- 14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია - **2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**
- 15.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ასლი არის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.
- 15.3. ხელშეკრულებაზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“
მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459
საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873

თამარ ყუფარაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი“

შპს „თეგეტა მოტორსი“
იურიდიული მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-
12 კმ, N5;
ტელ: (+995 32) 2 26 44 44;
მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“;
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ა/ა GE80TB 0600 0000 2446 7853;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202177205.

ჟორა რუხაძე
გაყიდვების დეპარტამენტის,
სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის
განყოფილების უფროსი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების

ტექნიკური დავალება

1. სსიპ „ადრულების ეროვნული ბიურო“-ს ბალანსზე რიცხული სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართი N2-ში მოცემულ კონკრეტულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე (კონკრეტული მარკის, მოდელის, საიდენტიფიკაციო ნომრის, გამოშვების წელის შესაბამისად);
2. **მომსახურების გაწევის პირობები:**
 - მიმწოდებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 1 (ერთი) სერვის-ცენტრი შემდეგ ქალაქებში: ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდში, ქ. გორში, ქ. თელავში და ქ. ახალციხეში. სერვისცენტრის ადგილმდებარეობა მითითებული უნდა იქნას დანართი N4-ში.
 - მიმწოდებელმა თავისი ტექნიკური შესაძლებლობებით უნდა უზრუნველყონ დანართი N2-ში მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართული ფუნქციონირება, რაც თავისმხრივ გულისხმობს - საწარმოო ფართს, საწარმოო და სასაწყობო სათავსოებს, დაცულ ავტოსადგომს, სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითად და სათადარიგო მანქანა-დანადგარებს, საწარმოო სიმძლავრეებს, ავტონომიურ ელექტრო კვებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
 - მიმწოდებელს ერთ საწარმო ფართში უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2 (ორი) საავტომობილო აწვე, ელ. სისტემის დიაგნოსტიკური აპარატურა, ალტერნატიული ელექტრო კვების წყარო, საბურავის დაშლა აწყობის და ბალანსირების დანადგარი და განშლადობის გასასწორებელი დანადგარი.
 - მიმწოდებელმა კომპანიამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე უნდა მინიჭოს პრიორიტეტული უფლება სსიპ „ადრულების ეროვნული ბიურო“-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურებას.
 - მიმწოდებელმა კომპანიამ ოპერატიულად უნდა უზრუნველყოს დანართ N2-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება სერვისცენტრში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ევაკუატორის დაქირავება და ავტომანქანის გადაყვანა სერვისცენტრში შესაკეთებლად ან საკუთარი მობილური ჯგუფის მეშვეობით ადგილზე ან სერვისცენტრში გადაყვანის შემდგომ მოახდინოს ავტომანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა. ავტოსატრანსპორტო საშუალებები შეკეთება გულისხმობს ყველა სახის სამუშაოებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს, პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას, უწყესრიგობების აღმოფხვრას, სათადარიგო ნაწილების მოხსნა-დაყენებას, შეკეთებას ან/და გამოცვლას, საცხებ-საპოხი მასალების გამოცვლას, სათუნუქე და სამღებრო სამუშაოებს, ელექტროგაყვანილობების რემონტს და სხვა ძირითად კვანძებსა და სამუშაოებს რომლებიც მთლიანობაში ასახულია დანართ N5-ში (პრეისკურანტი).
 - სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლისა და შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე;
 - შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ ავტომანქანის მიმწოდებლის სერვისცენტრში შეყვანიდან მაქსიმუმ 1 (ერთ) საათის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს დეფექტური აქტი, რომლის ელექტრონული ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს შემსყიდველის მიერ გამოყოფილ კოორდინატორს ელ. ფოსტის მისამართზე შემდგომი შეთანხმებისთვის და შემსყიდველის თანხმობის (შესაძლებელია შემსყიდველის მიერ განხორციელდეს დეფექტურ აქტში მითითებული მომსახურების ან საქონლის რაოდენობის კორექტირება) შემთხვევაში მისი ხელმოწერის (ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ დეფექტურ აქტში აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს თარიღი და დრო) შემდეგ მიმწოდებელმა დაიწყო მომსახურების განხორციელება, ხოლო თუ მიმწოდებელი არ მოაწერს დეფექტურ აქტს ხელს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება. დეფექტურ აქტში მითითებულ უნდა იქნას დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ფირმა, მოდელი, გამოშვების წელი, საიდენტიფიკაციო ნომერი და გარბენი (კილომეტრაჟი). აღმოჩენილი ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო გასაწევი მომსახურებების ჩამონათვალი (საჭიროების შემთხვევაში შესაცვლელი სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით), ხელშეკრულების პრეისკურანტში (დანართი N5) მითითებული ღირებულებების შესაბამისად;

- მიმწოდებლის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება თითოეულ შემთხვევაზე (შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან ან დეფექტური აქტის დამტკიცებიდან), არ უნდა აღემატებოდეს: სავალი ნაწილებისათვის - **1 (ერთი) დღეს**; ელექტროობისათვის - **1 (ერთი) დღეს**; აგრეგატებისათვის - **2 (ორი) დღეს**. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა ძრავის კაპიტალური რემონტის ჩატარება შესაძლებელია მომსახურების ვადა განისაზღვროს შემსყიდველთან შეთანხმებით, მაგრამ არაუმეტეს **10 (ათი) სამუშაო** დღისა, ხოლო თუ ავტოტექნომსახურება ეხება დეფიციტური სათადარიგო ნაწილით უზრუნველყოფას, მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს **15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით**. ამასთან, თუ რომელიმე სათადარიგო ნაწილის რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ერთი ორგანიზაცია მაინც, ასეთი სათადარიგო ნაწილი არ ჩაითვლება დეფიციტურ ნაწილად.
- თუ გასაწევი მომსახურება არ არის გათვალისწინებული პრეისკურანტში მაშინ მხარეები შეთანხმების საფუძველზე აღნიშნულ გასაწევ მომსახურებას ან/და შესაცვლელი სათადარიგო ნაწილს ღირებულებების გათვალისწინებით უთითებენ დეფექტურ და მიღება-ჩაბარების აქტებში, ხელშეკრულებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შემდგომ, სახელშეკრულებო ღირებულების შეუცვლელად.
- გაწეულ მომსახურებაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა (საჭიროების შემთხვევაში სათადარიგო ნაწილ(ებ)ის გათვალისწინებით), რაოდენობა ან/და მოცულობა, ფასი და საერთო ღირებულება (მომსახურებების ფასები გათვალისწინებული იქნება პრეისკურანტში მოცემული ფასების შესაბამისად, ხოლო პრეისკურანტით გაუთვალისწინებელი მომსახურების ან/და შესაცვლელი სათადარიგო ნაწილის შემთხვევაში ფასი დადგინდება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე მიმდინარე დროისთვის ბაზარზე არსებული ღირებულებების შესაბამისად).

„შემსყიდველი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

თამარ ყუფარაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი“

შპს „თეგეტა მოტორსი“

ჟორა რუხაძე
გაყიდვების დეპარტამენტის,
სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის
განყოფილების უფროსი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი

| № | მარკა/მოდელი | გამოშვების წელი | ძრავის მოცულობა | საიდენტიფიკაციო № (VIN) |
|----|------------------------------|-----------------|-----------------|-------------------------|
| 1 | TOYOTA CAMRY | 2012 | ბენზინი 3.5 | JTNBK4FK103002207 |
| 2 | TOYOTA LANDCRUISER PRADO | 2008 | ბენზინი 2.7 | JTEBL29J80K003302 |
| 3 | FORD TRANSIT VAN RWD 350 WB | 2017 | დიზელი 2.2 | WF0XXXTTGXHM13385 |
| 4 | FORD TRANSIT VAN RVD 470 LWB | 2016 | დიზელი 2.2 | WF0XXXTTGXGK81766 |
| 5 | FORD TRANSIT VAN RVD 470 LWB | 2016 | დიზელი 2.2 | WF0XXXTTGXGK06151 |
| 6 | FORD TRANSIT VAN RVD 470 LWB | 2016 | დიზელი 2.2 | WF0XXXTTGXGK02878 |
| 7 | FORD TRANSIT | 2010 | დიზელი 2.2 | WF0XXXTTFXAU77724 |
| 8 | MITSUBISHI canter | 2014 | დიზელი 3.9 | FE84CEA40429 |
| 9 | MITSUBISHI canter | 2011 | დიზელი 4.0 | NLTFE83PC02005231 |
| 10 | MITSUBISHI canter | 2010 | დიზელი 3.9 | NLTFE83PC02005205 |
| 11 | MITSUBISHI canter | 2010 | დიზელი 3.9 | NLTFE83PCO2005206 |
| 12 | SKODA OCTAVIA | 2011 | ბენზინი 1.6 | TMBDA41Z1B2108394 |
| 13 | SKODA OCTAVIA | 2011 | ბენზინი 1.6 | TMBDA41Z5B2119222 |
| 14 | SKODA OCTAVIA | 2011 | ბენზინი 1.6 | TMBDA41Z9B2108045 |
| 15 | SKODA OCTAVIA | 2011 | ბენზინი 1.6 | TMBDA41Z6B2108293 |
| 16 | SKODA OCTAVIA | 2011 | ბენზინი 1.6 | TMBDA41Z0B2108080 |
| 17 | SKODA OCTAVIA | 2011 | ბენზინი 1.6 | TMBDA41Z3B2109756 |
| 18 | SKODA ROOMSTER | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBNC15J3B7008513 |
| 19 | SKODA ROOMSTER | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBNC15J5B7008478 |

| | | | | |
|----|----------------|------|-------------|-------------------|
| 20 | SKODA ROOMSTER | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBNC15J2B7008454 |
| 21 | SKODA ROOMSTER | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBNC15J9B7008452 |
| 22 | SKODA ROOMSTER | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBNC15J5B7008450 |
| 23 | SKODA ROOMSTER | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBNC15J8B7008555 |
| 24 | SKODA ROOMSTER | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBNC15J7B7008451 |
| 25 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.6 | TMBED15J5B3161883 |
| 26 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J1B3158062 |
| 27 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J9B3158049 |
| 28 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J8B3158088 |
| 29 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J7B3158275 |
| 30 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15JXB3158075 |
| 31 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J0B3158585 |
| 32 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J4B3158251 |
| 33 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J7B3171267 |
| 34 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J4B3171274 |
| 35 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J8B3171262 |
| 36 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J6B3171292 |
| 37 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J0B3171305 |
| 38 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J2B3171287 |
| 39 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15JXB3171196 |
| 40 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J4B3171226 |
| 41 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J3B3171217 |
| 42 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J4B3171453 |
| 43 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J9B3171240 |

| | | | | |
|----|---------------------|------|-------------|-------------------|
| 44 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J5B3171235 |
| 45 | SKODA FABIA | 2011 | ბენზინი 1.4 | TMBEC15J5B3171123 |
| 46 | SKODA FABIA | 2012 | ბენზინი 1.6 | TMBED45J7C3145414 |
| 47 | SKODA ROOMSTER | 2012 | ბენზინი 1.6 | TMBND45J4C7037275 |
| 48 | SKODA ROOMSTER | 2012 | ბენზინი 1.6 | TMBND45J2C7037288 |
| 49 | SKODA ROOMSTER | 2012 | ბენზინი 1.6 | TMBND45J3C7037090 |
| 50 | MITSUBISHI L 200 | 2014 | დიზელი 2.5 | MMBJNKB40FD045732 |
| 51 | MITSUBISHI L 200 | 2014 | დიზელი 2.5 | MMBJNKB40FD045053 |
| 52 | MITSUBISHI L 200 | 2014 | დიზელი 2.5 | MMBJNKB40FD045379 |
| 53 | MITSUBISHI L 200 | 2014 | დიზელი 2.5 | MMBJNKB40FD045996 |
| 54 | MITSUBISHI L 200 | 2013 | დიზელი 2.5 | MMBJNKB40DD031276 |
| 55 | HYUNDAI SOLARIS | 2014 | ბენზინი 1.6 | Z94CT41DAFR337223 |
| 56 | HYUNDAI H-1 | 2014 | დიზელი 2.5 | KMHWH81KBEU662265 |
| 57 | RENAULT LOGAN | 2017 | დიზელი 1.5 | VF14SRCL458344189 |
| 58 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211253 |
| 59 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211013 |
| 60 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211156 |
| 61 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00212589 |
| 62 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211259 |
| 63 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00212159 |
| 64 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211034 |
| 65 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211265 |
| 66 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211136 |
| 67 | SUZUKI SX 4 S-CROSS | 2015 | ბენზინი 1.6 | TSMJYB22S00211184 |

| | | | | |
|----|----------------|------|-------------|-------------------|
| 68 | FORD FIESTA | 2016 | ბენზინი 1.2 | WF0DXXGAKDGD22215 |
| 69 | FORD FIESTA | 2017 | ბენზინი 1.2 | WF0DXXGAKDHU29366 |
| 70 | RENAULT DUSTER | 2017 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC5G58107268 |
| 71 | RENAULT DUSTER | 2015 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC9N52655269 |
| 72 | RENAULT DUSTER | 2015 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC9N52655270 |
| 73 | RENAULT DUSTER | 2015 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC9N53141860 |
| 74 | RENAULT DUSTER | 2014 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC9N52171835 |
| 75 | RENAULT DUSTER | 2014 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC9N52171834 |
| 76 | RENAULT DUSTER | 2015 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC9N52655202 |
| 77 | RENAULT DUSTER | 2015 | ბენზინი 1.6 | VF1HSRC9N52655267 |

„შემსყიდველი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

თამარ ყუფარაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი“

შპს „თეგეტა მოტორსი“

ჟორა რუხაძე
გაყიდვების დეპარტამენტის,
სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის
განყოფილების უფროსი

**გასაწევი მომსახურებისა და გამოყენებულ სათადარიგო ნაწილების
საგარანტიო პირობები და ვადები**

1. ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მაღალხარისხოვნად, აღნიშნულ მომსახურებაზე არსებული სტანდარტების სრული დაცვით. ყველა გამოცვლილი დეტალი უნდა იყოს ახალი (გამონაკლისის შემთხვევაში, შემსყიდველთან შეთანხმების დასაშვებია მეორადი), ხარისხიანი და ქარხნული წარმოების, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს, როგორც მომსახურების მიმდინარეობის პერიოდში, ასევე საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული მომსახურების პროცესში და საგარანტიო პერიოდში არახარისხოვნად გაწეული მომსახურების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.
2. მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებას და გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე უნდა გავრცელდეს გარანტია, კერძოდ: ძრავზე, გადაცემათა კოლოფზე და ხიდზე არანაკლებ **6 (ექვსი) თვე**, ხოლო სხვა დანარჩენზე არანაკლებ **3 (სამი) თვე**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციითა და გარეგანი ზემოქმედების შედეგად.
3. საცხებ-საპოხი მასალებზე, საგარანტიო ვადა განისაზღვრება კილომეტრაჟით:
 - ძრავის ზეთებზე გარანტია - არანაკლებ 8 000 კმ;
 - ავტომატური და მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთებზე გარანტია - არანაკლებ 30 000 კმ;

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

შპს „თეგეტა მოტორსი“

თამარ ყუფარაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ჟორა რუხაძე
გაყიდვების დეპარტამენტის,
სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის
განყოფილების უფროსი

სერვისცენტრები

| # | სერვის ცენტრის მდებარეობა (მისამართი) სადაც განხორციელდება მომსახურება | საწარმოო ფართის მოცულობა | სასაწყობე ფართის მოცულობა | დაცული ავტოსადგომის მოცულობა |
|---|---|--------------------------|---------------------------|------------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ქ.თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე- 12 კმ N5 | 5605 კვ.მ | 300 კვ.მ | 222,5 კვ.მ |
| 2 | ქ.ქუთაისი, ნიკეას მე-9 ჩიხი #2ა | 1000 კვ.მ | 500 კვ.მ | 200 კვ.მ |
| 2 | ქ.ბათუმი ,ლეონიძის ქ.29/ხახულის და | 25000 კვ.მ | 2000კვ.მ | 1000 კვ.მ |
| 3 | ქ. თელავი,სოფ.ვარდისუბანი | 360 კვ.მ | 277 კვ.მ | 150 კვ.მ |
| 4 | ქ.ახალციხე,ახალი ხიდის აღმოსავლეთ მხარეს, მდ. ფოცხოვის მარცხენა სანაპირო (საკადასტრო კოდი 62.09.53.123) | 350 კვ.მ | 300 კვ.მ | 250 კვ.მ |
| 5 | ქ.გორი ,პუშკინის ქ.N2 | 150 კვ.მ | 100 კვ.მ | 90 კვ.მ |
| 6 | ზუგდიდი,სოფელი რუხი | 400 კვ.მ | 200 კვ.მ | 150 კვ.მ |

შენიშვნა:

- შპს „თეგეტა მოტორსს“ საკუთრებაში ან/და სარგებლობაში გააჩნია მინიმუმ 1 (ერთი) სერვის-ცენტრი შემდეგ ქალაქებში: ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდში, ქ. გორში, ქ. თელავში და ქ. ახალციხეში.
- თითოეულ სერვის-ცენტრს საწარმოო ფართის მიმდებარედ გააჩნია სასაწყობე ფართი და დაცული ავტოსადგომი.

| # | ტექნიკური შესაძლებლობების ჩამონათვალი | განზ. ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | შენიშვნა |
|---|---|---------------|-----------------------|-------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | საავტომობილო ამწე | ცალი | 2 | FLEXBIMEC |
| 2 | ელ. სისტემის დიაგნოსტიკური აპარატურა | ცალი | 1 | PANASONIC |
| 3 | ალტერნატიული ელექტრო კვების წყარო | ცალი | 1 | GREEN POWER |
| 4 | საბურავის დაშლა აწყობის და ბალანსირების დანადგარი | ცალი | 1 | TECO |
| 5 | განშლადობის გასასწორებელი დანადგარი | ცალი | 1 | HOFMANN |

შენიშვნა:

- შპს „თეგეტა მოტორსს“ თითოეულ სერვის ცენტრში - ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდში, ქ. გორში, ქ. თელავში და ქ. ახალციხეში გააჩნია, მინიმუმ:
 - ✓ 2 (ორი)საავტომობილო ამწე;
 - ✓ ელ. სისტემის დიაგნოსტიკური აპარატურა;
 - ✓ ალტერნატიული ელექტრო კვების წყარო;
 - ✓ საბურავის დაშლა აწყობის და ბალანსირების დანადგარი;
 - ✓ განშლადობის გასასწორებელი დანადგარი.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

შპს „თეგეტა მოტორსი“

თამარ ყუფარაძე
ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ჟორა რუხაძე
გაციდვების დეპარტამენტის, სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

| პრეისკურანტი | | |
|--------------|--|--|
| № | გასაწევი მომსახურების დასახელება | პრეისკურანტის სავარაუდო საერთო ღირებულება (სავარაუდო ზღვრული ფასების მიხედვით) |
| 1 | 2 | 3 |
| 1 | სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება ქვედანართებში მოცემული კონკრეტული მომსახურებების მიხედვით | 213,416.9 |

| დანართი N5-1 | | | |
|--|--|--|---|
| SKODA FABIA 1.4 ბენზინი 2011 წლის მოდელი | | | |
| N | გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი (დეტალების და სახარჯი მასალების გათვალისწინებით) | სათადარიგო ნაწილების ერთეულის ღირებულება | გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულება |
| 1 | ჰაერის ფილტრი | 25.00 | 5.00 |
| 2 | სალონის ფილტრი | 30.00 | 5.00 |
| 3 | საწვავის ფილტრი | 35.00 | 10.00 |
| 4 | წინა ამორტიზატორი | 125.00 | 30.00 |
| 5 | უკანა ამორტიზატორი | 95.00 | 25.00 |
| 6 | ნაკანეჩნიკი | 40.00 | 15.00 |
| 7 | სუხოი სტერჟინი | 50.00 | 12.00 |
| 8 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი | 10.00 | 10.00 |
| 9 | მშრალი ამორტიზატორი | 90.00 | 30.00 |
| 10 | ყუმბარა გარე | 125.00 | 25.00 |
| 11 | ყუმბარა შიდა | 150.00 | 30.00 |
| 12 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | 80.00 | 15.00 |
| 13 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | 80.00 | 15.00 |
| 14 | ძრავის ღვედი | 55.00 | 100.00 |
| 15 | ანთების სანთელი | 12.00 | 5.00 |
| 16 | წინა საყრდენი დისკი | 100.00 | 25.00 |
| 17 | წინა ამორტიზატორის ბალიში | 35.00 | 25.00 |
| 18 | უკან ამორტიზატორის ბალიში | 35.00 | 22.00 |
| 19 | ზამბარა | 70.00 | 25.00 |
| 20 | მუხრუჭის შლანგი | 30.00 | 15.00 |
| 21 | ძრავის ათვლის სენსორი | 90.00 | 20.00 |
| 22 | წყლის რადიატორი | 250.00 | 40.00 |
| 23 | დიფუზორი | 70.00 | 35.00 |
| 24 | ელ. პროპელერი | 180.00 | 45.00 |
| 25 | თერმოსტატი | 110.00 | 55.00 |
| 26 | უკანა სტუპიცის საკისარი | 110.00 | 25.00 |
| 27 | წინა სტუპიცის საკისარი | 110.00 | 25.00 |

| | | | |
|----|---|--------|--------|
| 28 | სტარტერი | 380.00 | 30.00 |
| 29 | მცველი | 1.00 | 0.00 |
| 30 | ბაზინა | 55.00 | 5.00 |
| 31 | ქვედა გიტარა | 120.00 | 30.00 |
| 32 | წინა გიტარის პატარა ვტულკა | 10.00 | 12.00 |
| 33 | წინა გიტარის დიდი ვტულკა | 20.00 | 12.00 |
| 34 | გადაცემათა კოლოფის კულისა | 170.00 | 35.00 |
| 35 | ხელის მუხრუჭის ბერკეტი | 90.00 | 25.00 |
| 36 | ქვედა შარავი | 55.00 | 15.00 |
| 37 | უდარნი ნაკანეჩნიკით | 110.00 | 15.00 |
| 38 | წყლის ტუმბო | 170.00 | 90.00 |
| 39 | ელ. სისტემის დიაგნოსტიკა | 0.00 | 30.00 |
| 40 | დიაგნოსტიკა, ელ. სისტემის შეკეთება | 0.00 | 65.00 |
| 41 | ბალკის რეზინი | 35.00 | 80.00 |
| 42 | საბურავის დისკის გასწორება, ბალანსირება | 0.00 | 15.00 |
| 43 | საბურავის დაშლა-აწყობა-ბალანსირება | 0.00 | 8.00 |
| 44 | საბურავის ბალანსირება | 0.00 | 5.00 |
| 45 | საბურავის შეკეთება | 0.00 | 5.00 |
| 46 | რაზვალის გასწორება | 0.00 | 30.00 |
| 47 | სტოპის ნათურა | 2.00 | 2.00 |
| 48 | გაზარიტის ნათურა | 2.00 | 2.00 |
| 49 | ჰალოგენის ნათურა | 20.00 | 5.00 |
| 50 | ნათურა H4 | 20.00 | 5.00 |
| 51 | სცეპლენიის პლიტა | 250.00 | 90.00 |
| 52 | სცეპლენიის დისკი | 190.00 | 90.00 |
| 53 | ვიჟიმნოი საკისარი | 80.00 | 90.00 |
| 54 | დინამოს ღვედი | 40.00 | 30.00 |
| 55 | დინამოს ღვედის დამჭიმი | 55.00 | 40.00 |
| 56 | რადიატორის დაჩივი | 50.00 | 10.00 |
| 57 | ამორტიზატორის ატბოინიკი | 25.00 | 20.00 |
| 58 | ელ. სისტემის პროგრამირება | 0.00 | 90.00 |
| 59 | გათბობის ტრუპკა | 130.00 | 120.00 |
| 60 | ამორტიზატორის საკისარი | 20.00 | 22.00 |
| 61 | მშრალი ამორტიზატორის სამაგრი | 12.00 | 5.00 |
| 62 | სანომრის ნათურა | 2.00 | 2.00 |
| 63 | ტორპედოს მოხსნა-დაყენება | 0.00 | 165.00 |
| 64 | საწვავის მილი | 55.00 | 20.00 |
| 65 | ჩამრთველი | 25.00 | 20.00 |
| 66 | მექანიკური გადაცემათა კოლოფის მ/დ | 0.00 | 90.00 |
| 67 | ამძრავის მ/დ-შეკეთება (ნაწილებით) | 0.00 | 80.00 |
| 68 | გადაცემათა კოლოფის ბერკეტი | 70.00 | 35.00 |
| 69 | გათბობის ტრუპკის მ/დ კოლექტორის მ/დ | 0.00 | 120.00 |
| 70 | ელ. ძრავი | 130.00 | 50.00 |
| 71 | დაჰაერება | 0.00 | 25.00 |
| 72 | კბილანა 5 | 200.00 | 0.00 |
| 73 | სინქრონიზატორი | 55.00 | 0.00 |
| 74 | კოლოფის გადამრთველის რიჩაგი სამაგრი | 10.00 | 0.00 |
